



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და
პროცედურა

2018 წელი

თავი 1: ზოგადი

მუხლი 1: ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი აღწერს კავკასიის უნივერსიტეტში, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მიღების წესსა და პროცედურას.

2. კვლევითი საქმიანობა მოიცავს

a. ფუნდამენტურ კვლევას (Intellectual contribution to Discipline-based Scholarships), რომელიც მიზნად ისახავს ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღებას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში ან უკვე არსებული ცოდნის გამოყენებით რომელიმე პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტას ინოვაციური მიდგომის, მეთოდის, ტექნოლოგიისა და ა.შ. შემუშავებას. იგი მოიცავს შემდეგ აქტივობებს, თუმცა მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება:

- რეფერირებად გამოცემაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია;
- გამოქვეყნებული მონოგრაფია;
- სამეცნიერო წიგნის თანაავტორობა;
- სამეცნიერო წიგნის თავის დაწერა;
- სამეცნიერო შეხვედრების, კონფერენციების მასალების კრებულში სტატიის გამოქვეყნება;
- ნაშრომის წარდგენა სამეცნიერო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კვლევით სემინარზე;
- სამეცნიერო გამოცემის, გამოცემის ცალკეული თავების და ქვეთავების რედაქტირება.

b. გამოყენებით კვლევას (Intellectual contribution to Practice), რომელიც მოიცავს შესაბამის სფეროში არსებული სიტუაციის აღწერას, არსებული პრობლემების/საკითხების პრაქტიკული გადაჭრის გზების დადგენას და ახალი ბიზნეს/ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შექმნას. იგი მოიცავს შემდეგ აქტივობებს, თუმცა მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება:

- სტატიის დაწერა და პროფესიულ ჟურნალში, გაზეთში ან ელ-გამოცემაში გამოქვეყნება;
- პროფესიულ ტელე, რადიო ან ონლაინ მედია გადაცემაში კვლევაზე დაფუძნებული შედეგების წარდგენა;
- სხვადასხვა ტიპის (ინდუსტრიის, სფეროს, პრობლემატიკის შესახებ) ანგარიშების მომზადება;
- პროფესიული წიგნის დაწერა ან თანაავტორობა;

- პროფესიულ წიგნის თავის დაწერა
 - მნიშვნელოვანი წვლილი პროფესიული დარგის განვითარებაში (პროფესიულ ასოციაციაში მონაწილეობა, პროფესიული დასაბუთებული რჩევის და რეკომენდაციების მიცემა, და ა.შ.);
 - მნიშვნელოვანი პრეზენტაციები სფეროს პროფესიულ შეხვედრებზე-კონფერენციებზე;
 - პროფესიული წიგნის, პოპულარული წიგნის, ჟურნალის, გაზეთის ან ელ-გამოცემის რედაქტორობა
- c. სწავლის, სწავლებისა და პედაგოგიური საქმიანობის განვითარებასთან (Learning and Pedagogical Research) დაკავშირებული კვლევა-საქმიანობა
- ქეისების (კაზუსების) დაწერა;
 - სასწავლო გზამკვლევის შექმნა;
 - სახელმძღვანელოების დაწერა;
 - სახელმძღვანელოების თარგმნა-რედაქტირება;
 - სახელმძღვანელოს თავის დაწერა;
 - სასწავლო მასალის, გზამკვლევის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის საჭირო კვლევა;
 - ტრენინგის მასალის შექმნა.
3. კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოპოვება შეუძლია დაფინანსების მამიებელ პირს, რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური მკვლევარი ან მკვლევართა ჯგუფი.
4. დაფინანსების მამიებელი ინდივიდუალური პირი შეიძლება იყოს კავკასიის უნივერსიტეტის:
- a. აკადემიური პერსონალი
 - b. მოწვეული აკადემიური პერსონალი;
 - c. მკვლევარი;
 - d. დოქტურანტურის სტუდენტი;
 - e. მაგისტრატურის სტუდენტი;
5. თუ დაფინანსების მამიებელი პირი მკვლევართა ჯგუფია, მაშინ კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი (მთავარი მკვლევარი) უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი); დანარჩენი წევრები შეიძლება იყვნენ სხვა უნივერსიტეტის ან ორგანიზაციის თანამშრომლები.

მუხლი 2: დაფინანსების წყარო

1. კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა, რომლის ათვისებაც წლის განმავლობაში ხდება ეტაპობრივად.
2. ამ მიმართულებით გამოყოფილი წლიური ბიუჯეტის ლიმიტის კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის ფინანსური და ბიუჯეტირების დეპარტამენტი, რომელიც პერიოდულად კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს აწვდის ანგარიშს, თანხების გამოყენების შესახებ.
3. ზემოაღნიშნულ ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს ასახული შემდეგი ინფორმაცია:
 - a. კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი წლის გეგმიური ლიმიტები;
 - b. ანგარიშის მომზადების თარიღისთვის ფაქტიურ გახარჯვებზე ინფორმაცია;
 - c. კვარტლის/წლის ჭრილში, გეგმიური და ფაქტიური მონაცემების დადარება;
 - d. დარჩენილი ასათვისებელი თანხების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 3: შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მიღების პროცედურა

1. შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე კვლევითი პროექტების განაცხადების შემოტანა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ:
 - a. 15 ივნისიდან - 30 ივნისამდე (პასუხი დაფინანსებაზე ცნობილი იქნება 30 ივლისამდე)
 - b. 15 დეკემბრიდან - 31 დეკემბრამდე (პასუხი დაფინანსებაზე ცნობილი იქნება 31 იანვრამდე)
2. თითოეულ კვლევით პროექტზე მოსათხოვნი შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მაქსიმალური თანხა (მაქსიმალური ბიუჯეტი) წარმოადგენს 25,000 ლარს;
3. თითოეული კვლევითი პროექტის შესრულების და შედეგის მიღების მაქსიმალური ვადა არის პროექტის დაფინანსების დამტკიცებიდან ორი წელი;
4. დაფინანსების მაძიებელი პირი შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მისაღებად კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს აბარებს, მე-3 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ ვადებში, დაფინანსების მოპოვებისათვის საჭირო „კვლევითი პროექტის დაფინანსების დოკუმენტაციას“;

5. კვლევითი საქმიანობის დაფინანსების დოკუმენტაცია მოიცავს:
 - a. კვლევითი პროექტის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების აპლიკაციას (დანართი 1), რომელიც მოიცავს:
 - i. კვლევითი პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას;
 - ii. კვლევით პროექტში ჩართულ პირთა შესახებ ზოგად ინფორმაციას;
 - iii. კვლევითი საქმიანობის სრულყოფილად შესასრულებლად საჭირო აქტივობების გეგმა, აქტივობების შესრულების დროში გაწერილი გეგმა;
 - iv. კვლევითი საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა;
 - b. კვლევითი პროექტის აღწერას (დანართი 2), რომელიც უნდა მოიცავდეს
 - i. იმ პრობლემის/საკითხის აქტუალობის აღწერას, რომლის გადაჭრასაც გეგმავს მკვლევარი მოცემული კვლევითი პროექტით;
 - ii. კვლევითი პროექტის მიზნებსა და ამოცანებს
 - iii. კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებს და მათ მნიშვნელობას თეორიისა და/ან პრაქტიკისთვის (ფუნდამენტური კვლევის შემთხვევაში კვლევითი საქმიანობის შედეგად პოტენციურად მიღებული ახალი ცოდნის, მიდგომის და მისი მნიშვნელობის აღწერა; ხოლო გამოყენებითი კვლევის შემთხვევაში კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის პოტენციალი და პრაქტიკაში გამოყენებადობის შესაძლებლობა);
 - iv. მოცემული კვლევითი პროექტის მიზნების-შედეგების თავსებადობა-რელევანტობის აღწერა შესაბამისი სკოლის და კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან
 - c. კვლევითი პროექტში ჩართულ პირთა (ხელმძღვანელის, მკვლევარების, ადმინისტრაციული პერსონალის) CV-ები ან/და რეზიუმეები;
6. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი კვლევითი საქმიანობის დაფინანსების განცხადების შესვლის შემდეგ ქმნის კვლევით საქმიანობის შემაფასებელ დროებით კომისიას, რომელიც განიხილავს შემოსული კვლევითი პროექტის აქტუალობას დანართ 3-ში (კვლევითი საქმიანობის დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები) მოცემული კრიტერიუმების მიხედვით და ამზადებს შესაბამის დასკვნას;

7. კვლევითი პროექტის შემაფასებელი დროებითი კომისიაში შედიან:
 - a. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი
 - b. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი
 - c. დეკანი, რომლის კურატორობის სფეროც მოიცავს მოცემულ კვლევით საქმიანობას
 - d. კვლევითი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ერთი ან ორი ექსპერტი;
 - e. უნივერსიტეტის ფინანსური და ბიუჯეტირების დეპარტამენტის წარმომადგენელი.

8. კვლევითი პროექტის შემაფასებელი დროებითი კომისიის დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციით ელექტრონულად უგზავნება დაფინანსების მაძიებელ პირს და კავკასიის უნივერსიტეტის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც თავის მხრივ, სამი სამუშაოდ დღის შემდეგ (თუ დაფინანსების მაძიებელი პირისგან არ შემოვიდა გასაჩივრების განაცხადი), პროექტზე საბოლოო შეფასებას უგზავნის კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს დასამტკიცებლად;

9. თუ დაფინანსების მაძიებელი პირი არ არის თანახმა დროებითი კომისიის დასკვნის, მას აქვს სამი სამუშაო დღის ვადა, რათა გაასაჩივროს დასკვნა შესაბამისი განცხადებით კავკასიის უნივერსიტეტის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ვიცე-პრეზიდენტთან;

10. კავკასიის უნივერსიტეტის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ვიცე-პრეზიდენტი შექმნის დროებით სააპელაციო კომისიას, რომელშიც შევლენ:
 - a. კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში;
 - b. კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
 - c. კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მონიტორინგის და ადმინისტრაციის დარგში;
 - d. კავკასიის უნივერსიტეტის ომბუდსმენი;
 - e. კვლევითი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ერთი ექსპერტი, რომელიც არ იყო დროებითი კომისიის წევრი.

11. დროებითი სააპელაციო კომისია განიხილავს საკითხს და გამოიტანს საბოლოო დასკვნას, რომელსაც ელექტრონულად უგზავნის დაფინანსების მაძიებელს და კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს დასამტკიცებლად;

12. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ პროექტის დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საბოლოო დასტური ეგზავნება ფინანსური და ბიუჯეტირების დეპარტამენტის დირექტორს, ასევე უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში.
13. ფინანსური სამსახურის მიერ ლიმიტების გადაწმობის შედეგად, ფინანსური და ბიუჯეტირების დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება, უზრუნველყოფს დაფინანსების მიმღები პირისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფას;
14. იმ შემთხვევაში, თუ დასაფინანსებელი აქტივობა, მოიცავს რამოდენიმე ეტაპს, გამოყოფილი თანხა გაიცემა ტრანშებად წინასწარ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სადაც გაიწერება მხარეთა უფლება-მოვალეობანი;
15. დაფინანსების მიმღები პირი პასუხისმგებელია პროექტის წარმატებით მიმდინარეობაზე და მიღებული დაფინანსების მიზნობრივ გახარჯვაზე;

მუხლი 4: კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი

1. კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი.
2. თუ კვლევის პროექტის დაფინანსება რამოდენიმე ტრანშად არის დაგეგმილი, მაშინ დაფინანსების მიმღები პირი ვალდებულია, ყოველი მომდევნო ტრანშის მოთხოვნის ვადამდე ორი კვირით ადრე წარუდგინოს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობის ანგარიში.
3. თუ კვლევის პროექტის დაფინანსება ერთ-ტრანშად ხდება, მაგრამ პროექტის დასრულება და შედეგების მიღება სცდება 6 თვეს, მაშინ დაფინანსების მიმღები პირი ვალდებულია პროექტის დაფინანსებიდან ყოველ 6 თვეში წარუდგინოს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობის ანგარიში.
4. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აფასებს პროექტის მიმდინარეობას და ადგენს შესაბამის დასკვნას;

5. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსების მიმღებ პირთან ერთად ახდენს პროექტის გადახედვას, მისი ეფექტურად და წარმატებით შესრულებისთვის;
6. კვლევის დასრულების შემდეგ, დაფინანსების მიმღები პირი წერს საბოლოო ანგარიშს, რომელიც მოიცავს
 - a. განაცხადში გაწერილი მიზნებისა და შედეგების მიღწევის შესახებ ინფორმაციას
 - b. ფინანსურ ანგარიშს, გამოყოფილი თანხების გახარჯვის მოკლე აღწერას
7. დაფინანსების მიმღები პირის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის საფუძველზე კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი და ფინანსური და ბიუჯეტირების დეპარტამენტის დირექტორი შესრულებული პროექტის შესახებ საბოლოო დასკვნას ელექტრონულად უგზავნიან ვიცე-პრეზიდენტს კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში.